საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესი

მუხლი 1. სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესის რეგულირების სფერო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესი (შემდგომში - წესი), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აწესრიგებს სამინისტროში, ასევე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (შემდგომში - სამინისტროს სისტემა) სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. წესის მოქმედების ფარგლები

1. წესი ვრცელდება სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ნებისმიერ პირზე, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა და პოზიციისა.
2. ამ წესის მიზნებისთვის, სამინისტროს სისტემის თანამშრომლად (შემდგომში - მოსამსახურე) ითვლება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი, ასევე სტაჟიორი და პრაქტიკანტი.
3. ამ წესის მიზნებისათვის სამინისტროს/საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების (შემდგომში - წარმომადგენლობა) სამუშაო ადგილად ითვლება ნებისმიერი ადგილი, რომელიც გამოიყენება სამინისტროს/ წარმომადგენლობის საქმიანობის მიზნებისთვის (სამინისტროს/წარმომადგენლობის შენობა, შენობის გარეთა სივრცეები, შეხვედრების/მივლინებების/ტრენინგების/კონფერენციების ადგილები, სოციალური ქსელები (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები), სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები). სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა ასევე, არასამუშაო საათებსა და დასვენების/უქმე დღეებში განხორციელებული შემავიწროებელი ქმედება.
4. ამ წესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა სამინისტროს სისტემის ნებისმიერი მოსამსახურისათვის და მათი დარღვევა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.
5. სექსუალურ შევიწროებად ითვლება, სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიერ ჩადენილი, ამ წესით გათვალისწინებული ქმედება.
6. სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შესაძლებელია იყოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება პირმა სამინისტროს სისტემის მოსამსახურის სტატუსით განახორციელა.
7. იმ შემთხვევაში, თუ სექსუალური შევიწროება განხორციელდა სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიმართ მესამე პირის მხრიდან, რომელიც არის სხვა დაწესებულების თანამშრომელი, სამინისტრო სავარაუდო მსხვერპლთან შეთანხმებით, უფლებამოსილია მიმართოს იმ დაწესებულების ხელმძღვანელს შესაძლო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლის მიზნით.

მუხლი 3. სექსუალური შევიწროების ცნება

1. სექსუალური შევიწროება არის პირის მიმართ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

2. სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური სტატუსის, სამსახურებრივი პოზიციის ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მუხლი 4. სექსუალური შევიწროების ფორმები

1. სექსუალური შევიწროება გამოიხატება შემდეგი ფორმებით:

ა) ფიზიკური ქცევა:

ა.ა) ფიზიკური ძალადობა;

ა.ბ) ფიზკური კონტაქტი;

ა.გ) სამსახურთან დაკავშირებული მუქარა ან წახალისება სექსუალური ხასიათის თხოვნის შესრულების სანაცვლოდ.

ბ) ვერბალური ქცევა:

ბ.ა) სექსუალური ხასიათის კომენტარები ადამიანის გარეგნობაზე, ჩაცმულობაზე, ასაკზე, პირად ცხოვრებაზე და სხვა;

ბ.ბ) სექსუალური ხასიათის კომენტარები, ისტორიები, ხუმრობები;

ბ.გ) კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ;

ბ.დ) კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების/პრეფერენციების შესახებ;

ბ.ე) სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება;

ბ.ვ) განმეორებით არასასურველი დაპატიჟება.

გ) არავერბალური ქცევა:

გ.ა) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება ან გაგზავნა;

გ.ბ) სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა;

გ.გ) სექსუალურად გამოხატული მასალის განთავსება, ტირაჟირება

გ.დ) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაცია;

გ.ე) პირადი სივრცის დარღვევა (საუბრისას მეორე ადამიანთან ზედმეტად მიახლოება).

2. ამ მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და სექსუალური შევიწროება შესაძლოა გამოიხატებოდეს სხვა ისეთ არასასურველი ქმედებაში, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

მუხლი 5. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები

1. სექსუალური შევიწროების ინდიკატორებია:

ა) ქმედების ხასიათი;

ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;

გ) ქმედების ინტენსივობა ან ხანგრძლივობა;

დ) ქმედების განმეორებით ჩადენის საფრთხე;

ე) შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპლზე გავლენა;

ვ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;

ზ) შემავიწროებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, მათ შორის, სამსახურეობრივი იერარქია.

2. მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და სექსუალური შევიწროება შესაძლოა გამოიხატებოდეს სხვა ისეთი მახასიათებლით, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ერთ-ერთი ინდიკატორის არსებობა საკმარისი საფუძველია სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადგენად.

მუხლი 6. სექსუალური შევიწროებისაგან დაცვის მექანიზმის მიზნები და პრინციპები

1. სექსუალური შევიწროებისაგან დაცვის მექანიზმის მიზნებია:

ა) სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;

ბ) მექანიზმის განვითრების ხელშეწყობა და მისი გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

გ) ყველა შემთხვევის შესწავლა დროულად და ეფექტიანად;

დ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

ე) სექსუალური შემავიწროებლის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;

ვ) სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება.

2. სექსუალური შევიწროებისაგან დაცვის მექანიზმის პრინციპებია:

ა) სამართლიანობა;

ბ)კონფიდენციალურობა.

3. მოსამსახურე ვალდებულია კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების აღმოფხვრისკენ მიმართული კომუნიკაცია თუ ქმედება.

4. დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მოსამსახურეს, რომელიც:

ა) დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და გაასაჯაროებს სავარაუდო სექსუალური შევიწროვების თაობაზე ინფორმაციას;

ბ) ბოროტად ისარგებლებს ამ წესით გათვალისწინებული სექსუალური შევიწროებისაგან დაცვის მექანიზმით (მათ შორის, ცრუ ინფორმაციის მიწოდება, საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება).

5. აკრძალულია მოსამსახურისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა ან/და მოსამსახურის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მოსამსახურემ დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

მუხლი 7. სავარაუდო სექსუალური შევიწროვების ფაქტზე წერილობითი მიმართვის წარდგენა

1. მოსამსახურე, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, უფლებამოსილია, სავარაუდო შემავიწროებელს (შემდგომში - შემავიწროებელი) შეატყობინოს, რომ მისი ქცევა (ქმედება) არასასურველი და მიუღებელია.

2. შემავიწროებლის ინფორმირება სავარაუდო მსხვერპლის (შემდგომში-მსხვერპლი) სურვილზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს ვალდებულებას.

3. მსხვერპლი უფლებამოსილია სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ წერილობით მიმართოს (შემდგომში - მიმართვა) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს - შიდა აუდიტის დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) სპეციალურად შექმნილ ელექტრონულ მისამართზე: harassment@mfa.gov.ge.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონულ ფოსტის ადმინისტრირებაზე, წარდგენილი დოკუმენტების განხილვაზე და მათზე რეაგირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დეპარტამენტის მიერ გამოყოფილ შესაბამის თანამშრომელს (შემდგომში - პასუხისმგებელი პირი).

5. მიმართვაში უნდა მიეთითოს შემავიწროებლის სახელი და გვარი, დაკავებული თანამდებობა, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია, სექსუალური შევიწროების ფაქტები. შევიწროვების ფაქტების არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლი ვალდებულია, მიმართვას თან დაურთოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ ინფორმაციას აღნიშნულის თაობაზე).

6. მსხვერპლის თანხმობით მესამე პირი უფლებამოსილია, მიმართოს დეპარტამენტს, თუ მსხვერპლი სხვა მიზეზის გამო ამას ვერ ახერხებს.

7. ამ წესით დადგენილი მიმართვის პროცედურის გამოყენებამდე, მისი გამოყენებისას ან გამოყენების შემდეგ, მსხვერპლი არც ერთ ეტაპზე არ არის შეზღუდული, მიმართოს საქართველოს საგარეო საქმეთ მინისტრს (შემდგომში - მინისტრი)/კურატორ მინისტრის მოადგილეს, სასამართლოს ან/და საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. შევიწროვების ფაქტზე დისციპლინური წარმოების დაწყება

1. მსხვერპლის ან მესამე პირის მიერ მიმართვის წარდგენის შემდეგ, პასუხისმგებელი პირი იწყებს სამსახურებრივ შემოწმებას და მიმართავს მინისტრს დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე, ხოლო თუ შემავიწროებელი არის მინისტრი - მსხვერპლის კურატორ მინისტრის მოადგილეს.

2. თუ შემავიწროებელი არის მსხვერპლის უშუალო უფროსი, მსხვერპლის ინტერესების დაცვისა და სიტუაციის განმუხტვის მიზნით, შესაბამისი მხარის თანხმობით, მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების ერთ-ერთი მხარისათვის სამუშაო სივრცის შეცვლის ან სხვა დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ.

3. სექსუალური შევიწროების შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების ხანდაზმულობის ვადები.

მუხლი 9. სექსუალური შევიწროების საქმის განხილვა

1. სექსუალური შევიწროების საქმეებზე დისციპლინურ წარმოება მიმდინარეობს ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. მსხვერპლი ან შემავიწროებელი, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს პასუხისმგებელი პირის დეპარტამენტის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და საქმის განმხილველი სხვა თანამშრომლის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.

4. დისციპლინური წარმოების პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია არ გაასაჯაროვოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.

5. მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

6. სექსუალური შევიწროების საქმის განხილვისას პერონალური მონაცემების შემცვლელი ინფორმაცია, მინისტრს/კურატორ მინისტრის მოადგილეს წარედგინება მატერიალური ფორმით.

7. სექსუალური შევიწროების საქმის განხილვისას საქმისწარმოება ხორციელდება კონფიდენციალურობისა და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის დაცვით.

მუხლი 10. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირის უფლებამოსილება

1. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, კონფიდენციალურობის სრული დაცვით:

ა) გამოკითხოს მსხვერპლი;

ბ) გამოკითხოს შემავიწროებელი;

გ) გამოკითხოს მესამე პირები, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) გამოიკვლიოს საქმეში არსებულ ნებისმიერი მტკიცებულება;

ე) გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, მიიღოს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

ვ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, განსაზღვროს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. ობიექტური გარემოებების არსებობისას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, მსხვერპლსა და შემავიწროებელს გაესაუბროს მათთვის სასურველ ადგილას, რომელიც შესაძლოა იყოს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის გარეთ არსებული ტერიტორია.

3. პასუხისმგებელი პირის საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კონფიდენციალურობისა და, კანონიერების პრინციპებს.

მუხლი 11. მიმართვის განხილვის ვადა

1. დისციპლინური წარმოება იწყება დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან 3 წელი არ არის გასული.

2. თუ დისციპლინური გადაცდომისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი ვადა, 1- თვიანი ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე, მინისტრი/კურატორი მინისტრის მოადგილე, პასუხისმგებელი პირის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს ორი თვით გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 12. პასუხისმგებელი პირის მიერ დასკვნის მომზადება

1. პასუხისმგებელი პირი ამზადებს წერილობით დასკვნას სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არ არსებობის შესახებ მინისტრის სახელზე, ხოლო თუ შემავიწროებელი არის მინისტრი, მსხვერპლის კურატორ მინისტრის მოადგილის სახელზე და აწერს ხელს.

2. მინისტრი/კურატორი მინისტრის მოადგილე წარდგენილი დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ან უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე;

ბ) არასაკმარისი დასაბუთების მოტივით, დასკვნის პასუხისმგებელი პირისათვის დაბრუნების თაობაზე, მისი ხელახალი შესწავლის მიზნით;

გ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

3. პასუხისმგებელი პირის მიერ დასკვნის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, მინისტრი/კურატორი მინისტრის მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ან ,,გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. მინისტრი/კურატორი მინისტრის მოადგილე დასკვნას განიხილავს და შესაბამის აქტს გამოსცემს დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 13. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

1. სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიმართ, სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მინისტრი/კურატორი მინისტრის მოადგილე, პასუხისმგებელი პირის მიერ დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე
ვადით;

დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

2. სამინისტროს სისტემის სტაჟიორის ან/და პრაქტიკანტის მიერ სექსუალური შევიწროვების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მინისტრი/წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სახდელის დაკისრების ან სტაჟირების/პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ.

3. დისციპლინური სახდელის სახე დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხზე და განმეორებითობაზე.

4. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს დისციპლინური სახდელის მხოლოდ ერთი სახე.